№ 174. აგვისტოს 11, შაბათი. 1866—1884 აგვისტოს 11, შაბათი. № 174.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზარეთოვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—6 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—8 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» დიჩს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი აგვისტოს 1-დან წლის დამლეგამდე 4 მ. და 50 კ.

თბილისი, აგვისტოს 11-ს.

ბუშინ წინ წაიკითხავდა ჩვენი მკითხველი საზოგადოება სამეგრელოში სათავად-აზნაურო სკოლის გახსნის შესახებ განცხადებას. უნდა გამოეტყდეთ, რომ პირველად ჩვენ ეს საქმე ახირებულად გვეჩვენა და ჩვენმა გაზეთმა უთანხმოების კიბოთი უძღვნა ორიოდე სიტყვა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ორად განაწილებას, მაგრამ შემდეგ დამჯდარის მოსაზრებისა, ჩვენ დიდად თანავუგრძნობთ ამ საქმეს და ვისურვებთ მისს წარმატებას მით უმეტეს, რომ ქუთაისის სკოლის ორად გარღვევა იმის მომასწავებელია, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას ჰსურს, რავდენადაც შესაძლებელია, ყოველს კუთხეში სასწავლებელი იქონიოს. ეს სურვილი ნამდვილი ცხოვრებისაგან არის დაბადებული. მართლა და ჩვენს თავად-აზნაურობას რიღასი იმედი უნდა ჰქონდეს, თუ არ სწავლისა.

იმერეთის თავად-აზნაურობა, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, უმიწა-წყლო მაღალ-წოდებას წარმოადგენს და თბილისის თავად-აზნაურობას თუმცალა სახნავ-სათესი მოეძებნება, მაგრამ იმდენად დატვირთულია ვალით, რომ ზოგიერთი თავადი და აზნაური, მგონი, სიხარულით უკუ-აგდებდა მამულის პატრონის სახელს, ოღონდ ათასნაირი მოვალის, ბანკის და პრიკაზის ვალებისაგან თავი გაეთავისუფლებინა. რაკი უმეტესობა ჩვენ თავად-აზნაურთა მუშაობას შეუჩვეველი და მამულის წინ-წაძღოლის თავი არა აქვს, მის მამულს გაიძვერა მოურავები ხმარობენ და თვით ტყუილად ყოფნაში ატარებენ დროებას. როცა მამულის შემოსავალი მათს საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს, მეტი გზა აღარა რჩებათ: ნაკვეთ-ნაკვეთად მამულებს ჰყიდიან და ღლიურად მითი გამოდიან. დღეს აზნაურს ცხენის ყიდვა მოუნდა, ქალის გათხოვება კარს აღგას, მონათვლა და ქორწილი ქრისტიანს კაცს არასოდეს არ გამოელევა, აღაპი და წირვა სამუდამო ჩვენი საზრუნველი საქმეა; ახლა ამას დაუმატეთ მტერი, მოყვარე, მომსვლელი, წამსვლელი და სხვ. — ერთი სიტყვით, ყველა ეს ხარჯები მამულს აწვევს და ღლითი ღღე მამული მცირდება ნაკვეთ-ნაკვეთობით გასყიდვის გამო.

ღღეს ვითომ ერთი სანუგეშო საგანი დარჩენია ჩვენ თავად-აზნაურობას: ეს გახლავთ ბანკი. ამას ისე შესჩერებია ჩვენი თავად-აზნაურობა, როგორც აღმოსავლეთის ფილოსოფოსები მესსიას ელოდენ, მაგრამ ჩვენ უნდა ვუწინასწარმეტყველოთ ბანკებისაგან მოხიბლულს თავად-აზნაურობას, რომ ბანკზე სულის შეყუდება არა კმარა. ვინ იცის, ბანკს რა ღღე მოელის და კიდევაც რომ ბანკმა თავის საქმე კარგად წაიყვანოს, განა მისი მოტანილი სარგებელი თუნდ ნახევრობით დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას! ეს ცხადად მტკიცდება იმით, რომ ქუთაისისა და თბილისის სათავად-აზნაურო სკოლებში ოც მთხოვნელთაგან და ოც სწავლის მსურველში ორი ვერ შედის სასწავლებელში უვაკანსიობის გამო. ეს ძლიერ კარგად იგრძნო თბილისის თავად-აზნაურობამ და ეს სამი წელიწადია მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლთა და ზოგიერთა ჩვენი თავად-აზნაურობისათვის მოკეთე პირთა თაოსნობით სასკოლო გადასახადი დაიდეს. მომავალს წელში ეს კეთილი საქმე, მგონი, დაგვირგვინდეს და აქაურმა თავად-აზნაურობამ განათლების საქმეს მტკიცე საძირკველი დაუდგას.

ამ მხრით იმერეთის თავად-აზნაურობა უზრუნველად არის. ჯერ კრინტი არავის დაუძრავს სასკოლო გადასახადის შესახებ. ჩვენ ძლიერ საკვირველად მიგვაჩნია, რომ არც მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და არც სხვა ჩვენი საზოგადოების მოკეთე პირნი ხმას არ იღებენ ამ საქმეზე. თუ რამე მოეძებნება თავად-აზნაურობას, ახლა, თორემ რამდენიც უფრო დრო გავა, იმდენად საშუალებას მოკლებული შეიქმნება იგი.

სკოლაზე ზრუნვა და მისთვის ფულის გამოღება სწავლისადმი სურვილი, როგორც შეურყეველ ფაქტებიდგანა სჩანს. არა თუ ქავკასიაში, არამედ, ვგონებთ, ევროპაში ი შვიათად შეხვდებით, რომ სწავლას ისეთის წყურვილით და მოუკვლელის ენერგიით ეტანებოდენ, როგორც იმერეთში და მეტადრე ზოგიერთა მის კუთხეებში. და რამდენადაც ძლიერია სწავლის სურვილი, ჩვენდა სამწუხაროდ იმდენად უფრო ნაკლებია საშუალებანი სწავლის მიღებისათვის, იმდენად უფრო მცირეა სასწავლებელთა რიცხვი და იმდენადვე მცირედ შეესაბამება ეხლანდელ სასწავლებელთა ხასიათი და მოწყობილობა ქვეყნის ნამდვილს მოთხოვნილებას და ვითარებას.

ყოველივე ესე გვაიძულებს, რომ იმერეთის თავად-აზნაურობას ეურჩოთ: ნულარ აყენებს ამ კეთილს საქმეს, დაითანხმოს თავი და ორიოდ სამიოდ მანეთის გამოღებას ნუ შეუშინდება. ღღეს ასი და ორასი მანეთის გადახდას უფრო ადვილად შესძლებს, ვინემ დამორებულს მომავალში ხუთისა და ექვსი მანეთის გამო-

*) იხილე „დროება“ № 171.

«დროების» ტელეგრაფი, აგვისტ. 11

ხევის ბერი

გოჩა.

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

IV

ოანისემ იგრძნო, რომ მას ზღვასავით მოაწვა აღელვებული სისხლი, რომელიც ჩუხჩუხით ხან გულისკენ გაქანდებოდა და აატოკებდა, როგორც ზღვის ზვირთები უიალქნო ნავს, ხან თავს ეძგერებოდა და ნისლსავით ეხვეოდა, უბნელებდა თვალებს და გონებას.

ყმაწვილი ბიჭი ჯავრობდა თავის თავზედ, ჯავრობდა, რომ აღძრული გრძნობა ველარ შეემაგრებინა, ავარდნილი გული ველარ შეეყენებინა, ცდილობდა ქალისათვის დასამშვიდებელი სიტყვა რამ ეთქვა, მაგრამ პირ-გამშრალს, თითქოს ყელში რაღაცა გახირებიაო, ენას ველარ იბრუნებდა. იმან საუკეთესოდ დაინახა მალე მოშორებოდა იმ საფრთხეს, სადაც მისი არსება ასე სწრაფად იქმნა დამორჩილებული, გული ასე მოულოდნელად გაქელილი.

ოანისე გიმოეთხოვა ქალსა და გავიდა სამყოფო სახლში, სადაც დანარჩენი სტუმრები მხიარულებდენ: ყმაწვილი ბიჭები ერთმანეთს ეგაასებოდენ და მოხუცი ხალხი-კი საქართველოს მომავალს მდგომარეობაზედ ლაპარაკობდა.

ჩქარა მოიტანეს „სიფროები“, გაავსეს «ფუნთუშებით» *) და მოვლილის ჭედილების მსუქანის ხორცით.

რადგანაც ეს ამბავი ზამთარში ხდებოდა და იმ ღამეს კი თოვლი მოდიოდა, ამისთვის ყველანი ჩქარობდენ, რომ პურის ჭამა მალე გაეთავებინათ და შინ დაბრუნებულიყვენ, რათა ჩამოსულს ზვავებს სადმე გზა არ შეეკრა და ახალ ჯვარ-დაწერილები გარედ, ცის ქვეშ არ დარჩენილიყვნენ.

საყველა-წმინდო თასმაც ჩამოიარა; გვარის უფროსმა, სუფრის თავს „მარტო-შკამხედ“ მჯდომარემ აანთო წმინდა სანთელი, ახსენა ხევური ჯვარანგელოზნი და მექორწინენი ღმერთს შეავედრა. მერე მიუბრუნდა ოანისეს და რამდენიმე სიტყვით მოაგონა ხელის-მომკიდის მოვალეობა ქალისადმი და მოითხოვა მზითვის ყუთი, რომელიც ჩააბარა მაყრებს.

არ გაიარა წუთმა და ხელის-მომკიდე ხელ-ახლად წაიყვანეს სენაში, სადაც ბატარძალი უნდა ჩაებარებინათ.

ოანისეს ჯერ კიდევ ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის და გაბრუებული, რალაცა უცნაურს მდგომარეობაში მყოფი, სრულიად დაფანტული აღსრულებდა, რასაც კი ეუბნებოდენ.

ის შეიყვანეს, მისცეს ქალის ხელი ხელში და მოისმა ისევ ჯვარული. ხელის-მომკიდემ და ქალმა გამოსწიეს სამყოფო სახლისკენ, სადაც სიძე იყო ამ სიმღერის ხმაზედ, რომელიც ოანისეს დასაფლავების გალობის ხმად ეჩვენებოდა. იმათ გამოსვლაზედ ბელა მთლად აინთო, ნაღვერდლად გაუბრწყინდა თვალები, შეკავებულმა სიამოვნების ღიმილმა შეუთამაშა ტუჩები და მორცხობამ თავი დაახრევინა.

ოანისემ მიიყვანა ქალი და გადასცა სასიძოს, რომელმაც გაშმაგებით საჩქაროდ მიაშველა თავისი ხელი. მხოლოდ საკვირველი ეს იყო, რომ ქალი თითქოს რამდენჯერმე შეკრთა და ხელის-მომკიდის ხელის გაშვება ეძნელებოდა. მაგრამ ბელამ გააკეთა ხელი და ისეთ რიგად მოუჭირა, რომ ქალს ძვლებმა „ჭახჭახი“ დაუწყეს და ტკივილისაგან კინალამ შეჰკვირა. ოანისე გაუძღვა წინა და მას მიჰყვა მეფე-დედოფალი, სადაც საქორწილო მარხილამდე უნდა მიეცილებინა და იქ კი პატარძალზედ ზრუნვა ისევ ხელის-მომკიდესათვის უნდა მიენდო. პირველ მარხილში ჩასხდენ, ჩვეულებისამებრ *), მხოლოდ ხელის მომკიდე და პატარძალი. მეფე ცხენით უნდა წამოსულიყო, რადგანაც ქალს ჯვარის წერამდის ვერ მიეკარებოდა; მეორე მარხილზედ დაუწყვეს მზითვები და ამ სახით, მაყრების სიმღერით, თოფის

*) ფუნთუშა.—ერთ გვარი პურია, რომელსაც ღომელში აცხობენ.

*) ეს ჩვეულება ეხლა შეიცვალა: ამ ბოლოს დროს მეფე-დედოფალი და ხელის—მომკიდე ერთად სხდებიან ქალის სახლიდამვე, რადგანაც ჯვარის-წერა უმეტესს შემთხვევაში ქალის სამშობლოში ხდება.

ლებას. ამას ჩვენ ლიტონი სიტყვით ვამბობთ და ეკონომიურს მოსაზრებას არ გამოვუდგებით ჩვენის აზრის დასამტკიცებლად, რადგანაც ჩვენს თავად-აზნაურობას უმაგალითოდაც კარგად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი თავისი მომავალი. რაიცა შეეხება სწავლის მიმართულებას და მისს ხასიათს ჩვენს მომავალს სკოლებში, არა ერთჯერ იყო საუბარი სპეციალურად ამ საქმისათვის თბილისის თავად-აზნაურთაგან აღრჩეულს კომმისიაში და კვლავისათვის არა ერთჯერ გვექმნება ჩვენს გაზეთში სკოლის მიმართულებაზე და ხასიათზე ლაპარაკი; ახლა მხოლოდ ამით მოვაგონებთ, ვისიც რიგია, რომ დროზე დაიწყონ ზრუნვა იმ საგანზე, რომელიც მეტის-მეტად სანუკარია და საზრუნველი ჩვენი თავად-აზნაურობისათვის.

ს—ნი.

საგულისხმოდ.

დიდად სარწმუნო პირმა გადმოქვცა, რომ შარშანს აქეთ ჩვენს თბილისში მცხოვრებს ახალ-გაზდა რუსის გრაჭს ა. ბობრინსკის ფრანცუზულს ენაზე გადაუდია პროზით უკვდავი შოთთას ქმნილება. ჩვენ აქ განგებ ვიხმარეთ სიტყვა «გადაუღია» «გადაუთარგმნია»-ს მაგიერ, იმ საუბრის გამო, რომლითაც ბრწყინვალე გრაჭს მიუმართავს ამ ფრიად სასიამოვნო ამბის ჩვენდა გადმომცემისათვის:

— მე არ შემეძლო ამ უდიდესი პოეტის უშესანიშნავესი ქმნილების ისე გადაღება, როგორც თვით დედანშია. ეს შეუძლებელია, ჩემის აზრით, ყოველი ხორციელისათვის, ვინც უნდა იყოს იგი, რადგანაც პოეზიის იმ უმწვერვალესს წერტილამდე, რომელზედაც ასულა უბადლო შოთთა, მის მეტს დღემდის ვერავის მიუღწევია... საჭიროა მეორე შოთთა, რომ მან შესძლოს «ვეფხის ტყაოსნის» გადათარგმნა. ყველა სხვათათვის მეტის-მეტი კადნიერება იქმნება ამ გვარ შრომისათვის ხელის-მოკიდება. ამის გამო, მე, მოხიბლული შოთთას პოეზიის უდიდებულესის და უბადლო შვენიერებით, გაოცებული მისი აღმაფრენის ძალით, აღტაცებაში შესული მისი კილოს თავის-თავადობით, მისი მანერის თავისებურობით—როგორღა შევბედავდი ჩემი სუსტი კალმით ამ პოეზიის პირმშო ძის თარგმნას?! მაგრამ რა უნდა მექმნა, როცა მისმა აუწერელმა უზესთაესმა ნიჭიერებამ ისე მომაჯადოვა, ისე აღმაფრთოვანა, რომ, ჩემდა უნებურად, სულსა და გულში ჩამინერგა დაჟინებული წყურვილი, რომ ეს გენიალური ქმნილება, ასე თუ ისე, მაგრამ როგორმე და რა გვარადაც იქმნებოდა კი—გამეცნო ევროპისათვის მსოფლიო ენის (ფრანცუზულის) საშუალობით?—დიაღ, ბატონო, მე არ შემეძლო მისი თარგმნა! არ შემეძლო და მინდოდა კი! ამიტომაც მე გავბედე და აზრის მიხედულობით გადავიღე პროზულ ამბავად ქალალდზე ის, რასაც ახე შეუდარებლად, ლექსად მოგვითხრობს უკვდავი პოეტი.

ამის შემდეგ ბრწყინვალე გრაჭს წაუკითხავს თავის გადაღებული მოხსენებულის პირისათვის, რომელმაც დაგვარწმუნა, რომ სწორედ ჩინებული ენით და ორიგინალის პოეზიის უნაკლულოდ დაცვით არის გადაღებული «ვეფხვის ტყაოსანი», თუმცა პატივცემული გადამღები თავმდაბლობით უარ-ჰყოფს ამასაო.

დასასრულ, უნდა დავსძინოთ, რომ გრაჭი ამ ცოტა ხანში მიდის პარიჟში, სადაც აპირობს უსათუოდ დაბეჭდვას ამ, მის მიერ გადაღებულს «ვეფხვიე ტყაოსნისას».

ჯ.

შინაური ქრონიკა.

═ ვეჯინიდამ გვწერენ: „ჩვენდა სასიამოვნოდ, ჯერ ს. ვეჯინში და მის ახლო მდებარე სოფლებში სეტყვა არ მოსულა, თუმცა კი ეს რამდენიმე წელიწადია ყოველს წელს ისეტყვებოდა. ღმერთმა ბრძანოს, რომ ამ წელს მაინც აღარ გვეწიოს ეს მრისხანე, შეუბრალებელი სტუმარი და ამ წელს მაინც შეგვარგოს ღვინის მოსავალი. ისიც კმარა აქაური ვენახებისათვის, რომ აქა-იქ ნაცარი გაჩნდა. რაც შეეხება სხვა მოსავალს, ყანა თუმცა მოვასწარით და ფეტვებიც დავმკვეთ, მაგრამ სიცხემ დიდი ცუდი დღე დააყენა აქამდის მშვენიერად გაზდილს სიმინდს. ასეთი საშინელი სიცხეები იყო, რომ მიწას ყამირ-ყამირადა ჰხეთქავდა. ხშირად დანახეთქს ადგილებში კაცსა და საქონელს ფეხები შიგ უცვივდებოდათ. წინად გაუწყვეტელმა წვიმებმა მოგვაბეზრა თავი, შემდეგ სიცხეებმა და ეხლა კი ისევ პირმოდგმული წვიმა დაიწყო. საინტერესოა ჩვეულება, რომელსაც ადგა ხალხი ღვთის-რისხვა სიცხის ასაშორებლად. ხალხმა მოიგონა თვისი მამაპაპური საშუალება: «დიდებაზედ სიარული» («ლაზარეზედ ტარება»). აი ეს ჩვეულება როგორა სრულდება: რამდენიმე სოფლიდგან გროვდებიან ერთად დედა-კაცები და უფრო გასათხოვარი ქალები; ისინი კარ-და-კარ სიარულს დაიწყებენ და გაივლიან რამდენსამე სოფელს; ტარების დროს მათ ხელში უჭირავთ კუკები (ტიკინები), რომლებსაც ... წყლითა ჰბანენ ... წვიმა მოვაო. სახლის პატრონები მათ აძლევენ კერცხსა, ფულს, ფქვილს და სხ. სიარულის დროს მღერიან შემდეგს ორტაეპოვან ლექსებს:

„აღარ გვინდა გორახი,
ღმერთო, მოგვე·ტალახი“.

„წმინდა ელია
ჩვენი მცველია“.

ელიას სახელით მდაბალს ხალხს წარმოდგენილი აქეს თეთრ ტანისამოსიანი კაცი, პატარა ურემზედ მჯდომარე, რომელშიაც თეთრი ცხენები არიან შებმულნი. ეს კაცი, მათის თქმით, წინ დაუძღვება ღრუბლებს, სიარულის დროს რომ ხმა გამოისმის ურმიდგან, ის არის ქუხილიო და სხ. მას, სადაც უნდა, მოიყვანს სეტყვას, წვიმას და სხ. ეს ზოგიერთების აზრით, უნდა ყოფილიყო რომელიმე ღმერთთაგანი ქართველებისა (წვიმის ღმერთი ანუ მოსავლისა), როდესაც უკანასკნელნი კერპთაყვანის მცემელნი ყოფილან, მაგრამ, ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ამ ღმერთის წარმოდგენა შეუერთებიათ წინასწარმეტყველ ილიასთან, რაზედაც უჩვენებს თვით სახელი (ელია—ილია) და ისიც, რომ ილიამ სასწაულით წვიმა მოიყვანა».

═ «ავკაზი» ამბობს, რომ ლიტერატორი ე. მარკოვი და დრამატურგი და მწერალი, ერთხელ თბილისელი რუსული სათეატრო დასის ანტრეპრენიორი, მოხუცებული ა. ი. ჰალმი თბილისში ჩამოვიდენო.

═ იმავე გაზეთს სწერენ, რომ სომხების სტამბოლელის პატრიარხის მდგომარეობა ძალიან ცუდად არისო. იმის

სროლით და ყიჟინით გამოსწიეს შინისკენ.

V

ღამე იყო ცივი და ნისლიანი, თუმცა თოვლის გამო საკმაოდ განათებული. ხან-გამოშვებით ქვენა ქარი ზუზუნით უბერავდა და წვრილი, მაგრამ ხვრიში თოვლი მიმავლებს პირისახეს უწკეპლავდა.

პატარა ბიჭი, მთლად ტყავში, ნაბადში და ყაბალახში გახვეული, ცხენს მიერეკებოდა, რადგანაც თოვლს გზა ჩაეჩუმქრა და ცხენს სიარული უძნელდებოდა და გასავლელი გზა-კი ჯერ ბევრი ჰქონდათ.

მაყრიონი, გახურებული ჯირითობით და წარსულის ქეიფით, მარხილს კარგად დაშორებოდენ და ხან ცხენების ერთმანერთზედ მიგდებით, ხან ერთისაგან მეორის ქუდის გატაცებით და გადაგდებით, მესამისაგან კიდევ გაჭენებულის ცხენიდგან გადაზნექით და ისე აღებით კიდეცა თბებოდენ და დრისაც ატარებდენ.

ბინისე იჯდა მარხილზედ, გადაეგდო თავიდგან ყაბალახი, გადაეწია ქუდი და გახურებული შუბლი და სახე გამყინავის ქარისთვის მიეშვირა.

წმინდა ჰაერმა, თუ ხანის გამოვლამ იმას თითქოს მოაზრების საშუალება მისცა და მხოლოდ ეხლა დააკვირდა თავის მდგომარეობას. მხოლოდ ეხლა იგრძნო პირველად გაღვიძებულის გრძნობის სიტკბოება და მასთან ის მტანჯავი მდგომარეობა, რომელიც ვალად სდებდა გვერთით მყოფს სატრფოს სრულიად სხვა გვარად მოჰქცეოდა.

იმას მიექცია პირი ქარისა და თოვლისაკენ, რომელთაც აღარაფერი უშლიდა და სხაპა-სხაპით სცემდა პირისახეში; ის მათგან მოელოდა რაოდენადმე შაღავათს და დამშვიდებას.

იმას ეგონა, რომ შუბლის გაგრილებისათანავე სისხლიც დაუმშვიდდებოდა და ავარდნილი გული თავისავე დონეში ჩავარდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ფიქრი ატყუებდა და დაღონებული ხედავდა, რომ მის გულში აღმოუფხვრელად ჩასახულიყო ძიძიას სახე და წყნარად, ფრთხილად და სიამოვნებით არხევდა; არხევდა იმ სიფთხილით და მხრუნველობით, როგორც მშობელი თავის პირმშოს, როგორც ყაჭის პარკს ნაზი ნიავი, რომელსაც ძვირფასის ქმნილების აღორძინება ბუნებისგანვე ჰქონდა მინდობილი.

ბინისემ სიტყვა მისცა თავის თავს, რომ ქალისკენ არ მოეხედნა, არ დალაპარაკებოდა მას, რადგანაც იცოდა, რა საშიში განსაცდელი იყო მისთვის ამ გვარი საქციელი.

იმას არამც თუ მიხედვისა და დალაპარაკებისა ეშინოდა, არამედ განძრევას, მომეტებულს ამოქშენასაც-კი ვერა ჰბედავდა, რათა რომელიმე მოულოდნელობით არ შეეწყვიტა ის ხაიათი, რომელზედაც მისი თავ-შეკავება ეკიდა.

ძიძიაც იჯდა გაჩუმებული, თავდახრილი და ხმას არ იღებდა. ვინ იცის, იმის გულში რა მოძრაობდა, მისი აზრები რა გვარს ტალღებს ააგორებდა, საითკენ და რა ძალით მიაქროლებდა, ან რომელს საგანს ჩასცივებოდა, რა სურათი წამოსდგომოდა თვალ-წინ და გაწამებული ზედ დაჰკდომოდა?!..

მაყურებელისათვის მისი გული ამ წამში იყო ბნელი უფსკრული, სადაც კაცი ვერაფერს გაარჩევდა, საიდანაც ვერას ამოიკითხავდა, და მისი გულის მოძრაობის შეტყობის მსურველი პასუხის მიუცემლად, იმედ-გადაწყვეტილი უკანვე უნდა დაბრუნებულიყო.

ძიძია იჯდა გამოქარგულს თხელს ახალუხში და ზეიდგან წამოგდებული ჰქონდა შალი, რომელიც ავდრისა და ქარისგან საკმაოდ ვერ იფარავდა. ის თან-და-თან თოშდებოდა, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა, თუმცა სიცივე ძვალსა და რბილში გასჯდომოდა და მეტად აწუხებდა.

იმის ხელის-მომკიდეს ეს შემთხვევა თავში არც-კი მოსვლია, იქამდის გართულიყო თავის საკუთარის მდგომარეობით. იმას ცოტა ფიქრი არ უნდოდა, რადგანაც ნათესავობამ სათემოდ ძიძიას მომავალი მის სინიდისს და მხრუნველობას ჩააბარა ამ ქალის სახელი და პატივი, ქრის წინაშე დაცვაც-კი მისი მოვალეობა გამხდარიყო, ხოლო მთიელთ შეხედულობით «ანაბარი მგელმაც-კი იცის.» და ამ დროს, როდესაც თითონ მას შესდგომოდა მაცდურად გრძნობა, ჩასლოდა სულის საძირკვლამდის და ძვალსა და ტვინს უწოვ-

დაშლილი და სრულიად სნეულის ჯანის მოსარჩენად დიდი მოვლა და ზრუნვაა საჭირო, როგორც ფიზიკურის ისე ზნეობითის მხრით. საჭიროა, რომ მან დიდხანს არ ამუშაოს გონება და დიდხანს იწამლოს თავიო.

═ Iქვე ვკითხულობთ, რომ ამ პატრიარხის შუამავლობით მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტმა ოთხი სტამბოლელი სომეხთ მოსწავლეთაგანი მიიღო თავის ხარჯზეო.

═ „ნოვოე ობოზრენიესა“ და «ქავკაზში» დაბეჭდილია წერილი ზრიბოედოვის ძეგლის საშინელს უსუფთაო მდგომარეობაზედ მამა-დავითში. სირცხვილია სწორედ ჩვენის ქალაქის საზოგადოებისათვის ერთის უკეთესის პოეტთაგანის უკანასკნელი სადგური ასეთს მდგომარეობაში იყოს. აქაურს საზოგადოებას არ მიეტევება, პატივი არ მიაპყრას ნიჭსა და ღირსებას, უფრო არ მოგვეტევება ჩვენ ასეთი უზრუნველობა ზრიბოედოვის შესახებ, რომ მისი სახელი ქავკასიასთან და ქართველთა მწერლობის ისტორიასთან ასე თუ ისე დაკავშირებულია. მაგრამ განა მოეთხოვება ჩვენს საზოგადოებას ასეთი მზრუნველობა ნიჭით და ღირსებით შემკობილებზე? მათთვის სირცხვილს ისიც არ შეადგენს, რომ საკუთარ ღვიძლს უუღიდებულეს პოეტს, ქვეყნისათვის სასიქადულოს და საამაყოს . აქამომდე ძეგლი არ აქვს ამართული და იმის მეტი, რაშიაც მისი გენია გამოიხატა, არარა აგონებს შთამომავლობას მის სახეს, მის ნიჭს და მის ღირსებას.

═ ჩვენ მოგვეიდა პატარა ისტორიული თხზულება „საქართველო ანდრია მოციქულის დროს“ დ. ბაქრაძისა, გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან.

ხოლერა ევროპაში.

„ნოვოე ვრემია“-ში დაბეჭდილია განკარგულება სამედიცინო დეპარტამენტისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყოველმა ადგილობრივმა მთავრობამ და ადმინისტრაციამ, უკეთუ ხოლერით გახდება ვინმე ავად. ამ განკარგულების ძალით მათი ვალია:

1) დაუყოვნებლივ გამოაცხადონ საყოველთაოდ ეს ამბავი.

2) გასცეან ბძანება, რომ იმ ექიმებმა, რომელნიც შველიან ამ გვარ ავადმყოფებს, სახლის პატრონებმა, ოჯახის უფროსებმა და სხ., რაც შეიძლება, ჩქარა შეატყობინონ პოლიციას ყოველი შემთხვევა ხოლერით ავად გახდომისა.

3) დაუყოვნებლივ დაიმართოს საექიმო ადგილები, სადაც ექიმებს შეეძლოთ უფასოდ დახმარება აღმოუჩინონ სახოლერო ფაღარათობით ავადმყოფებს და ღარიბს ხალხს დაურიგონ სადეზინფექციო წამლები და ნივთიერებანი.

4) იზმარონ ღონის-ძიება, რომ ხოლერით ავად-გამხდარნი ცალკე დააწყვინონ საავადმყოფოებში ანუ სახოლერო ლაზარეთებში.

5) სასტიკი ყურადღება ექმნას მიქცეული ხოლერიანის განავალის გადაყრას და დეზინფექციას, აგრეთვე გასუფთავებას გახოლერიანებულის საგნებისას (საცვალსა, ტანისამოსსა და ლოგინსა) და სახლებისას.

6) გამოსცენ ბძანება, რომ ხოლერით დახოცილები საჩქაროდ დაიმარხონ, საცა შესაძლებელია, განცალკევებულ ხოლერიანების სასაფლაოზედ, რომ დახოცილებს წინდაწინვე კირი მოეყაროთ გარშემო, რაც შეიძლება ღრმად დაიმარხონ და რომ დახოცილებს არავინ არ მიაკარონ.

7) იზმარონ საშუალება ძველის ტანისამოსით ვაჭრობისაგან მოსალოდნელის საშიშროების ასაცილებლად.

8) იბეჭდებოდეს ყოველ-დღე ოფიციალურად განცხადებანი სენის მსვლელობასა და ვითარებაზე, დახოცილთა რიცხვზე, იმაზე, თუ რა საწინააღმდეგო საშუალებაა მიღებული და გასჭრა თუ არა მან და სხვ. და სხვ.

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

აგვისტოს 10-ს

ნიჟნი-ნოვგოროდი. იარმარკა კარგად მიდის; მანუფაქტურა შარშანდელზედ ნაკლებად არ იყიდება; ფულიანი მყიდველნი ცოტანი არიან; აზიურ საქონელთა გამყიდველნი მალე და სარგებლობით ვაჭრობენ; მკვიდრი საქონელი შარშანდელზედ კარგად იყიდება; სანიტარული მდგომარეობა კარგი არის.

ოდესა. გუშინ ვაჭრის ქალი მარიამ კალიუჟნისა მივიდა ჟანდარმების უფროსთან, პოლკოვნიკს კატაპსკისთან, და რევოლვერი ესროლა პირის-სახეში, მაგრამ ვერ მოარტყა. კალიუჟნისა შეიპყრო კატაპსკიმ და დაატუსადა.

კმკინი. საფრანგეთის ელჩი გავიდა პეკინიდგან და საფრანგეთის ქვეშევრდომებზე ზრუნვა რუსეთის ელჩს მიანდო. ჩინეთის მმართებლობა აცხადებს, რომ მზად არის იგი საომრად, მაგრამ ჩუმად კი იმედი აქვს, რომ ნეიტრალური სახელმწიფონი საქმეში ჩაერევიან.

პეტერგურგი. „ბირჟევი-ვედომოსტი“ გვატყობინებს, რომ ბედგორისთვის აზრათა აქვს გამოუშვან 50 მილ. 5% პენი, სახელმწიფო ბანკის და სახელმწიფო კაზნაჩეისტვის ვალის დასაფარად.

„ნოვოე ვრემიაში“ სწერია, რომ საუნივერსიტეტო ცვლილებაზედ მოლაპარაკება ექნება განსაკუთრებითი ამ საქმისთვის არჩეულს რამდენიმე მინისტრს და სხვა უმაღლეს პირებს.

პარიჟი. ჩინეთის მართებლობისგან სრულიად უარის თქმის გამო, საფრანგეთის მოთხოვნილებაზედ დიმპლომატიური დამოკიდებულობა ამ ორს სახელმწიფოს კაბინეტთა შორის მოისპო და საფრანგეთის კონსულის პეკინიდგან წამოსვლის ხმა მართლდება. პარიჟში მყოფი ჩინეთის ელჩიც თავისი მართებლობისაგან დაბარებული იქმნა.

განცხადებანი

ქალაქის გამგეობასა ჰსურს დაიქიროს ფერისა და ავლაბრის პირველ-დაწყებით საქალაქო სკოლათათვის სახლები—პირველისთვის ერთი ზალა, რომელშიაც ორმოცდა-ათი მოწაფე უნდა დაეტიოს, ორი ოთახი პერედნით და კუნინით მასწავლებელისათვის. ოლ. გინსკის ქუჩაზედ, ანუ მის ახლო-მახლოს, ხოლო მეორისთვის ერთი ორად

და, შეუბრალებლად ულრღნიდა, ოლნისეს ამისთანა ძნელად შესასრულებელს მოვალეობასა სდებდენ.

ქარმა, ავდარმა და სიცივემ თავისი იმოქმედეს: ქალმა ველარ გასძლო და გაყრილობულს ცახცახი დააწყებინა. მის პირველსავე მოძრაობაზედ ოლნისე გველის ნაკბენსავით შეკრთა და თავისავე უნებურად კისერი ქალისაკენ მიეღრიჯა. იმან დაინახა თხელს ტანისამოსში ქალი და გული მოუკვდა. ძიძია, იმის ღმერთაი, საღოცავი, სიწმინდე ამ გაჭირვებაში იყო და იმას არც-კი მოჰგონებოდა იმაზედ ზრუნვა!

ერთი თავის მიბრუნება, ერთი შეხედვა, ოდნათი მიკარება საკმარისი იყო, რომ თოფის წამალსავით ეფეთქა და მთელს სხეულს ცეცხლი მოზდებიყო.

— ქალაუ, მოგიკვდა ჩემი თავი!. მთლად გათრიმლხარ და მეკი არც-კი მომაგონდი! წარმოსთქვა ოლნისემ და ხმა ისე აუკანკალდა, რომ მღელვარება დაეტყო.

— არა მიშავს-რა, შენაი ჭირაიმე, — წარმოსთქვა ქალმა ნაზის და, ვინაიცის, რა მიზეზის გამო, ცრემლ-მორეულის ხმით.

— ბეჩაუ, არა მიშავს-რა რაიაჭ.. შენ რომ ავად გახდე, მე რაიღა მეშველების? ამ სიტყვებით ოლნისემ აიწია ნაბდის კალთა, წამოხურა ძიძიას, რომელსაც სველი შალი მოხსნა და იქვე მარხილში ჩააგდო. მემრე მაგრა მოიჭუჭკა ნაბადი და ნაზს წელზედ ხელ-მოხვეული ქალი მკერდზედ მიიკრა. ამ ქალის მიკარებასთან ერთად ოლნისეს გული მეტის-მეტად გათრთოლდა, შეიკუმშა და შესდგა, გათრთოლდა კიდევ, კიდევ და ერთბაშად აძაგძაგებულმა გზა მისცა გამოქანებულ ადუღებულ სისხლს, რომელიც მწვავად და სანეტარო აღმაშფოთებლად მთელს სხეულში დაიმქრა, რომელმაც ყოველის ძარღვის სხეულში დაჰკრა. ძიძიაც, გაჩუმებული, გაწამებული და გაყუჩებული, თითქოს ამ კაცის მდგომარეობას შეშინებინა და ემონებოდა, თუ გაეგებინებინა მისი გაჭირება, არ ეწინააღმდეგებოდა ოლნისესა. ამ კაცს დაეკარგა მოაზრება, დავიწყებოდა თავისი თავი, თავის მოვალეობა და თან-დათან უფრო-და-უფრო ხვევდა ხელს, უფრო იკრავდა გულში და ყოველ მოძრაობაზედ გონებასა ჰკარგავდა.

ის შეეპყრო მხოლოდ ერთს გრძნობას, რომელიც ტკბილად ჩასჩურჩულებდა, რომ ის ბედნიერია, რომ ამ ბედნიერებას ქვეყანაზედ არა შეედრება-რა. რაღა საქმე ჰქონდა ან ხალხთან ან ქვეყანასთან, სადღა ეცალა მათზედ საფიქრებლად. ოლნისეს თავი წყნარ-წყნარად იხრებოდა და უახლოვდებოდა ძიძიას სახეს, რომელსაც ძალზედ სწვავდა კაცის გახურებული ქშენა. ის თან-და-თან უახლოვდებოდა და ჩასჩურჩულებდა წარმოუდგენის სიტკბოებით, იმ სიტკბოებით რომლითაც მართლა წრფელის გულით შეყვარებულს შეუძლიან, როგორც შეყვარებულს კაცს, რომელსაც მრავალ-სიტყვიერება გადავიწყებია.

— ბცივა, კიდევ ბცივა... ჩემო ყველავ! მოკლედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა ოლნისე, მაგრამ ამ ორიოდ სიტყვაში ხმას იმდენი მიხრა-მოხრა ჰქონდა, ისეთის ჰარმონიით იმკობოდა, რომ აშკარად შენიშნავდით აღგზნებულს საკირეს, მის გულში ანთებულს, გამხეცებულს სიყვარულს, მის მბრძანებლად გამხდარს.

ძიძია, კურდღელსავით განაბული, კაცს მიჰკრობოდა მკერდზედ და მისი ნორჩი გული შიშ-გარეულის სიხარულის ფართხალით უპასუხებდა ქალის მდგომარეობას. აქამდისა ჰფარავდა თავ-შეკავება, ამ წუთებამდის ძალა კიდევ შესწევდა გრძნობა დაეფარა, მაგრამ ეხლა, როდესაც ოლნისეს თავი თან-და-თან იხრებოდა, როდესაც იმის სახე თან-და-თან უახლოვდებოდა ძიძიას სახეს, უკანასკნელი ჰგრძნობდა კაცის გახურებულს ქშენას, ძიძიას გაუწყდა ხაიათზედ ჩამოკიდებული მოთმინება, თვითონაც მოუთმენლად ამოიქშინა და მადრიელი თვალები მისკენ მიაქცია.

შეპყრობილთ ერთის გრძნობით, აღგზნებულთ ერთ რიგის წადილით, რაღაცა უხილავი ძალა ერთმანერთისკენ იზიდავდა. წუთიც და სიტკბოებით დამთვრალთ, დაბნედილთ ტუჩები მათსავე გაუგებრად ერთმანერთს ჩაეწებნენ.

ს. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება შემდეგ)

ეროვნული

უფრო მეტი სადგომია საჭიროა; ამისათვის გამგეობა მოიწვევს ყველას, ვისაც ამ გვარის სახლების გაქირავება ჰსურს, მიმართოს მას. (1—1)

მიიღებიან მოსამზადებელისა და პირველის სამის კლასის შვეგირდები რეპეტიციით (მომზადებით) და ურეპეტიციოდ.

აეკალის ქუჩაზედ, ყორღანოვის სახლი № 10, რომელიც ნემენცების სასაფლაოსთან მოედანზედ არის. საღგური მანსვეტოვისა. (3—1)

გამოვიდა სამა-სულსან ორბელიანის

ლექსიკონი

ავტორის სურათით და ბიოგრაფიით, და იყიდება თბილისს, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ფასი სამი მანათი, გასაგზავნი გარეშე ქალაქებში 30 კაპ.

იქვე ისყიდება ჩუბინოვისაგან შედგენილი

ლექსიკონი

ქართულ-რუსულ-ფრანგიულს ენაზე.— ფასი ექვსი მანათი და 50 კაპ., გაგზავნით გარეშე ქალაქებში — შვიდი მანათი და 50 კაპ.. (3—2)

შირველ სექტემბერს ამა წლისას, თანასმად სკოლის კრების განჩინებისა, მიღებულ იქმნებიან შირველ კლასსში სასოფლო მეურნეობის სკოლაში სოფ. წინამძღვრიანთ-კარში, ოც-და-ათი უმაწვილი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა, და ეროვნობისა. გამოცდა უმაწვილებისა არ იქნება, ისინი შეირიცხებიან შაგირდებათ უეგზამენიოთ. ბავშვები უნდა იყვნენ არა ნაკლებ ათისა და არა უმეტეს თორმეტი წლისა, მრთელი სხეულისა და ჯანისა.

გისაცა სურს უმაწვილების მიცემა სკოლაში უნდა გამოუცხადოს თავისი თხოვნა შირად, ანუ წერილით, სკოლის მზრუნველს. რადგანაც სკოლის შაგირდები მოსიარულენი არიან, ამისთვის იმათ დედ-მამამ, ანუ მოადგილემ, უნდა გაუჩინონ ბინა უმაწვილებს ან იმავე სოფელში, სადაც სკოლა წარმოებს, ან ახლო-მახლო სოფლებში. სოფ. წინამძღვრიანთ-კარში ერთი გლეხი აშენებს ქვითკირის სახლს «სადგომს შაგირდებისთვინ» და თვითო უმაწვილის შესანახავს თხოულობს თვეში ექვს მანეთს.

მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი. (3—3)

ინლისური რკინის კრატეები.



ერთის სიგრძე 7 მანეთიდგან და ორის სიგრძე 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, სავარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოდის კოვზები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, ჭირისსანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყალ, ვაგები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თუბშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკვეები, სამარილეები, გარჩიტის საფუსკები, უნაგირები კატისა და ქალისა; ადვირები, ხლისტები, ტანისმოსის დასაკიდებლები, საბალო მაგრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, სერსები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიქები, ზარიდები, კაბსიულები, საფანტები, ნიჩბები, ვატერბრუჭი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალჭეტებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, ვამფეტები, ბიგუდები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიოანები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნიმრებს უურადღება მიაქციეთ. (100—37)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი				მოსკოვის ჩაის			
		1 მ.	10 კ.			1 მ.	40 კ.
—	—	1	20	—	—	1	60
—	—	1	40	—	—	1	80
—	—	1	60	—	—	2	,,
—	—	1	80	—	2	—	50
საუკეთესო		2	,,	—	3	—	,,

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრატები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალალდი, შოკოლადი, კაკაო, კასფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კატისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—49)

შპალიერი ახალი მხატვრობით მომავალის სეზონი

საათვის მიღებული ბლომად და სხვა-დასხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

ძმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზებალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდა-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული. (30—25)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის სწავლა-განათლების მზრუნველი

საგან ნებადართული

საკომერციო კურსები თბილისში

ოლთავ სქესის პირთათვის.

1884—85 წ. შემდეგს საგნებს ასწავლიან: 1) საკომერციო ეკონომიას, 2) საკომერციო არითმეტიკას და სწორტზე ანგარიშს, 3) ბუხგალტერიას (მარტივს, ორიანს და სამანგოს), 4) საკომერციო კორესპონდენციას, 5) საეჭრო და საველილო წესდებას, მსურველთ ასწავლიან აგრეთვე 6) ფრანცუზულს ენას, 7) სუფთა-წერას და გაკრულს ხელს.

სწავლა დაიწყება სექტემბრის 15. მიღება ახლად შემომსვლელთა დაიწყება აგვისტოს ოცდაგან უოველ-დღე საღამოს 5—8 საათამდე, იქ ს